

აღნიშნული მიზნების წარმატებით განხორციელებისათვის აუცილებელი იქნება შიდა და გარე შესაძლებლობებისა და რესურსების მაქსიმალური მობილიზება და გამოყენება, მათ შორს:

- მუნიციპალიტეტის შეზღუდული ფინანსური რესურსების ნაწილის მიმართვა მოცემული გეგმის განხორციელებისათვის;

- ზესტაფონის დამმობილებულ ქალაქებთან/მუნიციპალიტეტებთან საქმიანი და პერსპექტივაზე გათვლილი ურთიერთობების აგება;

- ადგილობრივი ბიზნესის ხელშეწყობა ფინანსური რესურსების მოძიების საქმეში;

- მხარდაჭერა მაღალი დონის მენეჯერებისა და სპეციალისტების გადამზადების საქმეში;

- თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისებისა და ელექტრონული მომსახურების დანერგვაში ხელშეწყობა;

- საქმიანი ურთიერთობების განვითარების, შიდა და გარე ბაზარზე დამკვიდრების ღონისძიებების განხორციელებაში ხელშეწყობა;

ყოველივე ზემოთ აღნიშნული უნდა გახდეს წინაპირობა, რომ რამდენიმე წლის შემდეგ ზესტაფონის მუნიციპალიტეტი იქცეს ზემო იმერეთის ეკონომიკური და ბიზნეს განვითარების „ჰაბად“, სადაც რეგულარულად იმართება ბიზნეს-ფორუმები, ტარდება საქმიანი შეხვედრების და იდება კონკრეტული გარიგებები. ხდება ცოდნის, იდეების, გამოცდილებისა და წარმატებების გაზიარება, გავრცელება და გაფართოება; ვითარდება ეკონომიკა, იზრდება დასაქმებულთა რიცხვი და შემოსავლები.

8. ხედვა და მიზნები

პარტნიორობის ყველა მონაწილის აქტიური ჩართულობით მიღებული მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხედვა და სტრატეგიული მიზნები, რომელიც ჩამოყალიბდა ჩემდეგნაირად:

ხედვა:

ზესტაფონის მუნიციპალიტეტი - ზემო იმერეთის სამრეწველო, სავაჭრო, კომერციული და კულტურული ცენტრია („ჰაბია“), განვითარებული სამრეწველო წარმოებით და მრავალფეროვნებით გამორჩეული ტრადიციული მეღვინეობისა და მეთუნეობის/კერამიკის დარგებით, კულინარიის/გასტრონომიისა და კვების ობიექტების სიუხვითა და მომსახურების მაღალი ხარისხით. სადაც ჩამოყალიბებულია ბიზნესისა და სსო-ების ხელისუფლებასთან თანამშრომლობის მაღალი კულტურა; შექმნილია რეგიონის, მუნიციპალიტეტისა და ბიზნეს წრეების საერთაშორისო პარტნიორობთან, თანამშრომლობის მუდმივმოქმედი მექანიზმები. ხდება ინოვაციური იდეების გაზიარება, გენერირება და განხორციელება. იზრდება ეკონომიკა, დასაქმებულთა რიცხოვნება და შემოსავლები, რაც განაპირობებს ცხოვრების ხარისხისა და დონის ამაღლებას. ხორციელდება არსებული რესურსების რაციონალური და ეფექტური გამოყენება და მიიღწევა მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარება. ყალიბდება ტრადიცია ერთობლივი და ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღებისა და ასევე მათი შესრულების მონიტორინგის განხორციელების ეფექტური სისტემა. საზოგადოებაში ამაღლებულია ხელისუფლებისა და ბიზნესისადმი ნდობის ხარისხი. უზრუნველყოფილია ყველასათვის თანაბარი განვითარების შესაძლებლობები, მიმზიდველია საცხოვრებლად, სამუშაოდ და ბიზნესის კეთებისათვის.

მთავარი მიზნები:

1. მეურნეობის ტრადიციული მიმართულებების სტიმულირება და განვითარება, ადგილობრივ და გარე ბაზარებზე დამკვიდრება;
2. ბიზნეს წრეების, ხელისუფლებისა და საერთაშორისო პარტნიორობის თანამშრომლობის, გამოცდილების გაზიარებისა და ერთობლივი ბიზნეს პროექტების განხორციელების მიღწევა;
3. ადამიანური შესაძლებლობების ზრდა და უნარების განვითარება - გადამზადების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული ზრდის შესაძლებლობების შექმნა.